GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 199
თარიღი: 2 07 2014 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

19/06/2014

MES 9 14 00390689

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაცია"-ს
(GRASS) დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს
ელ. ფოსტა: n. vakhtangashvili@factcheck.ge

ბატონო სერგი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2014 წლის 10 ივნისის N364 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №358239, 11.06.2014) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 27-ე, 28-ე, 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად ელექტრონულ ფოსტაზე გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავება თქვენი განცხადების მოთხოვნათა შესაბამისად. აქედან გამომდინარე გაცნობებთ შემდეგს:

1. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ 2013 წელს საჯარო სკოლების მშენებლობა - რეაბილიტაციაზე გამოყოფილმა თანხამ შეადგინა - 39 620 871.21 (ოცდაცხრამეტიმილიონ ექვსასოცდათერთმეტი ლარი და ოცდაერთი თეთრი) ლარი.

2. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ 2013 წელს 581 საჯარო სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

3. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ 2013 წელს 1 საჯარო სკოლის მშენებლობა დასრულდა, ხოლო 8 საჯარო სკოლის მშენებლობა დაიწყო.

4. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ 2013 წელს ქალაქ თბილისში 56 საჯარო სკოლაში და რეგიონებში 525 საჯარო სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 31 89 40

5. სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ 2013 წელს ქალაქ თბილისში საჯარო სკოლის შენობა არ აშენებულა, ხოლო რეგიონებში დასრულდა 1 საჯარო სკოლის და დაიწყო 8 საჯარო სკოლის მშენებლობა.

6. სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ 2014 წელს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის გამოყოფილია 57114000 (ორმოცდაჩვიდმეტიმილიონ ასთოთხმეტიათასი) ლარი.

7. 2014 წელს 317 საჯარო სკოლაში დაგეგმილია სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

8. 2014 წელს დაიწყო 1 საჯარო სკოლის მშენებლობა, მიმდინარეობს 2013 წელს დაწყებული 8 სკოლის მშენებლობა, დაგეგმილია 7 ახალი სკოლის პროექტირება/მშენებლობის დაწყება.

9. 2014 წელს ქ.თბილისში 40 საჯარო სკოლაში და რეგიონის 277 საჯარო სკოლაში დაგეგმილია სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

10. 2014 წელს დაგეგმილია ქ. თბილისში 3 საჯარო სკოლის მშენებლობა, რეგიონებში დაიწყო 1 საჯარო სკოლის მშენებლობა და გრძელდება 2013 წელს დაწყებული 8 სკოლის მშენებლობა, დაგეგმილია 4 ახალი სკოლის პროექტირება/მშენებლობის დაწყება.

11. სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ საჯარო სკოლების რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის 2009–2012 წლებში გამოყოფილი თანხების სტატისტიკა შემდეგნაირია:
ა) 2009 წელი - 4 864 430.76 (ოთხიმილიონ რვაასსამოცდაოთხიათას ოთხასოცდაათი ლარი და სამოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი, ხოლო ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისათვის საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 19 900 000 (ცხრამეტიმილიონ ცხრაასიათასი) ლარი;
ბ) 2010 წელი - 14 166 026.47 (თოთხმეტიმილიონ ასსამოცდაექვსიათას ოცდაექვსი ლარი და ორმოცდაშვიდი თეთრი) ლარი;
გ) 2011 წელი - 29 011 457.97 (ოცდაცხრამილიონ თერთმეტიათას ოთხასორმოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარი;
დ) 2012 წელი - 52 953 280.92 (ორმოცდათორმეტიმილიონ ცხრაასორმოცდაცამეტიათას ორასოთხმოცი ლარი და ოთხმოცდათორმეტი თეთრი) ლარი.

12. სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობს ეტაპობრივად. სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია ერთიდაიმავე საჯარო სკოლაში რიგ შემთხვევებში ხორციელდება რამდენიმე წლის მანძილზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაწვდით ინფორმაციას 2009–2012 წლებში განხორციელებული რეაბილიტირებული საჯარო სკოლების სტატისტიკის შესახებ:
2009 წელი - 364 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (როგორც მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული თანხით, ასევე სააგენტოს მიერ);
2010 წელი - 302 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;

2011 წელი - 225 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია განხორციელდა სააგენტოს მიერ საჯარო სკოლებისათვის გადარიცხული თანხების მეშვეობით, ხოლო სააგენტოს მიერ განხორციელდა 35 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;
2012 წელი - 385 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია განხორციელდა სააგენტოს მიერ საჯარო სკოლებისათვის გადარიცხული თანხებით, ხოლო სააგენტოს მიერ განხორციელდა 150 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;

13. სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" მიერ 2009 -2012 წლებში განხორციელებული საჯარო სკოლების მშენებლობის (თითოეული წლის) სტატისტიკა:
2009 წელი - 1 საჯარო სკოლის მშენებლობა დასრულდა, 2 საჯარო სკოლა - მშენებლობის პროცესში.
2010 წელი - 3 საჯარო სკოლის მშენებლობა დასრულდა.
2011 წელი - 5 საჯარო სკოლის მშენებლობა დასრულდა.
2012 წელი - 9 საჯარო სკოლის მშენებლობა დასრულდა.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ირაკლი კოპალიანი